# დროება

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ჩაჭაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ, 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი



## არწრუნის თეატრი.

ოთხშაბათს, 21 მარტს,

არტისტკა

მ. მ. საფაროვის ქალი

გამართავს

კონცერტს.

მონაწილეობას მიიღებენ: ქალი სემეონოვისა, ნ. ზაბუნია, ფაშაიანი, და თავ. აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ბატ. დიუმ, ვ. აბაშიძე, ბატ. დეკერშენგი, ბატ. ტერ-ზრიქურიანი და ორკესტრი.

სხვათა შორის, თავ. აკაკი წერეთელი წაიკითხავს თავის ახალ პოემას «თორნიკე ერისთავი».

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.


## მიწის სათემო-მფლობელობა ჩვენში.

თბილისი, 20 მარტს.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ვრცელი წერილი შესახებ მიწის-მფლობელობისა ივრის ხეობაში. იმედია, რომ მკითხველები ყურადღებას მიაქცევდენ იმ საგანს, რომელსაც წერილი შეეხებოდა; მიწის-მფლობელობას და მის ფორმებს იმოდენად დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის ცხოვრებაში, რომ მათი უყურადღებოდ დატოვება სრულიად შეუძლებელია. ჩვენ და სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ-ჯერობით არა იციანრა ხალხის ეკონომიური ცხოვრებიდგან, არა არის რა მოგროვილი მცირეოდენ ცნობათა გარდა. ამის მიზეზი ბევრი არის: ერთი რომ ჩვენი ინტელიგენცია, გარდა სახალხო მასწავლებელთა, ხალხზე დაშორებულია სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. ამიტომაც იშვიათია მწერლობაში ხალხის ეკონომიური ცხოვრების გამოკვლევა, რის გამოც უმეტესმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ თითქმის არა იცისრა ისეთის საგნისა, რომელზედაც აგებულია მთელი ხალხის ავი და კარგი.

ზემო-ხსენებული წერილი შეეხება მიწის მფლობელობის სათემო ანუ, უკეთა ვსთქვით, საერო ფორმას, რომელიც დღემდის დაცული ყოფილა ივრის ხეობაში. სხვაგან ყველა საუკეთესო ეკონომისტების და მწერლების ყურადღება მიქცეულია იმაზე, რომ გამოიკვლიონ და შეისწავლონ სათემო ფორმა მიწის მფლობელობისა. რუსეთში დაწინაურებული მწერლობის უმეტესობა ჰფიქრობს, რომ სათემო მფლობელობა მიწისა შეიქმნა საფუძვლად ხალხის კეთილ-დღეობისა და წარმატებისა და მიაჩნია იგი დიდ უპირატესობად მთელის ევროპის წინაშე, რომელსაც ვერ დაუცავს უძველესი და უკანონიერესი ფორმა მიწის მფლობელობისა. ჩვენ კი ამ დროს არა ვიცითრა შესახებ იმავე ფორმისა, რომელსაც თავი შეუნახავს ივრის ხეობაში.

ივრის ხეობაში დაცული სათემო მფლობელობა მიწისა, როგორცა სჩანს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილიდგან, ფრიად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს თავის ხასიათით; ავტორის აწერილობიდგან სჩანს, რომ იგი არის უძველესი ფორმა საერთო მფლობელობისა, რომელნიც დღემდის დაცულია უმეტესს ნაწილად ჩრდილოეთ რუსეთში და ალაგ-ალაგ დიდ-რუსეთშიაც. მიწის სათემო მფლობელობა, რომელიც დამყარებულია მისწრობაზე და იმოდენი მიწის შემუშავებაზე, რამდენიც ადამიანისათვის შესაძლებელია, ეკუთვნის იმ უძველესს დროს, როცა ხალხი ხშირი არ იყო, როცა მიწა ყველასა ჰყოფნიდა—და, მაშასა, მელასაზოგადოების რომელიმე წევრის უმიწოდ დარჩენა ყოვლად შეუძლებელი საქმე იყო. ივრის ხეობაში სწორედ ის ფორმა შენახულა, რომელიც მხოლოდ ზემოდ აღნიშნულ პირობების შედეგია.

როგორცა ვსთქვით, ივრის ხეობის სათემო ფორმა მიწის-მფლობელობისა უძველესი ფორმაა; აღწერილობიდგანა სჩანს, რომ იგი დარჩენილა იმავე ხარისხზე, რომელიც ძველადგანვე დადგენილა. თუმცა ცხოვრების პირობები შეიცვალა, ხალხი გონებით და ზნეობით უფრო განვითარდა, გახშირდა და საჭირო შეიქმნა ცხოვრების პირობები ამ გავითარებას შეჰფერებოდა,—ივრის ხეობის მიწის-მფლობელობა იგივე დარჩა; ის არ განვითარებულა იმ წერტილამდე, რომელიც უფრო მკვიდრს და სამართლიანს ხასიათს აძლევს სათემო ფორმას მფლობელობისას. ივრის ხეობაში დამყარებულ ფორმას ვერ შემოუღია ისეთი წესები, რომელნიც აუცილებლად საჭირონი არიან ხალხ-

«დროების» ფელეტონი, 20 მარტი.

## გრეჩიხა.

(ქვიშნა, гречиха, Buchweizn, le blé sarrasin*.)

გრეჩიხა არის მრავალ-ფოთლიანი, მწვანილის მზგავსი ერთ-წლოვანი მცენარე; თავის მგზავსთაშორის მარტო ეს არის მიღებული მეურნეობაში და დაფასებული მხვნელ-მთესველთაგან.

თუმცა სამეურნეო ბოტანიკა სამგვარადა ჰყოფს გრეჩიხას:

1) ჩვეულებრივი გრეჩიხა (Polygonum figopirum),

2) თათრული გრეჩიხა (Polygonum tartaricum),

3) ჩინური გრეჩიხა (Polygonum emarginatum).

მაგრამ ხვნა-თესვაში საზოგადოდ გავრცელებულია პირველი, როგორადაც უფრო მომცემი და გამოსადეგი. ეს სამი გვარი გრეჩიხისა, რასაკვირველია, განირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან როგორც გარეგანი შეხედულობით, ისე თესლით და თვისებით; მაგალითებრ, თათრული უფრო მეტს სიცივეს იტანს, აქვს გულის მგზავსად მოყვანილი ფოთლები, უფრო მეტი ფერისაა და მარცვალ-წვრილი; ჩინური გრეჩიხა მრავალ-შტოიანია, დიდრონ ფოთლიანი; ამისი მარცვალი—დიდროვანი და კუთხიანი—ნაკლებ ფქვილიანია. ამ ორივ გვარის თვისებანი გვიმტკიცებენ, რომ გამოსადეგნი არიან მხოლოდ საქონლის საჭმელად, ჩალად, და, როგორც ვიცი, ჯერ კიდევ გავრცელებულნი არ არიან მეურნეობაში.

ცხადია, რომ ჩვენთვის უფრო საინტერესოა პირველი ჩვეულებრივი გრეჩიხა (Polygonum figopirum), რომელიც შეადგენს განსაკუთრებულს საგანს შემდეგის ჩვენის საუბრისას. და თუ მხვნელ-მთესველი ჩემს მოკლე საუბარს გრეჩიხის თვისებაზე და საჭირო მოვლაზე ყურადღებას მიაპყრობს, იმედი მაქვს, რომ მან გაიცნოს მისთვის ჯერედ უცნობი მცენარე და ბევრ მემამულეს, რომლის ზოგიერთა მიწები იქნება სხვა მცენარეთათვის გამოუსადეგნი იყვნენ, ამ მცენარისათვის გამოაყენებინოს.

### საზოგადო თვისებანი.

როგორც ყოველივე მცენარე, გრეჩიხაც, ჰაერისა და მიწის მიხედვით, დროთა განმავლობაში, მიიღებს ადგილობრივს სახეს და სხვა და სხვა ჯიშებს შექმნის; მაგ. არის გრეჩიხა შავ-მარცვალა, მრგვალ-მარცვალა და სხვა მრავალი; მაგრამ ამ ჯიშებს განსაზღვრული სამკვიდრო ხასიათი არა აქვთ და სხვა მიწაზე, სხვა ჰაერის გავლენით, მიიღებენ ერთი ერთმანეთის ხასიათებს, ანუ სრულიად შეიცვლებიან. თესლის გამოცვლა, რაიცა ყველა სხვა კულტურული მცენარისათვის სასარგებლოდ ითვლება, გრეჩიხაზე უკუღმა მოქმედობს. მრავალ-მხრივი გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ გრეჩიხა, რომელიც მსუბუქ, ქვიშიან მიწაზეა მოყვანილი, არ ვარგობს საერთოდ მძიმე მაწებისათვის; მაგალითად, ჩრდილოეთ გერმანიის ნაჭაობრებში, სადაც მეურნოება მოსაწონ ხარისხზე სდგას, მიღებულია თესლად იხმარონ განსაკუთრებით ნაჭაობარ მიწაში მოყვანილი გრეჩიხა, და ამას ყველა მტკიცედ ასრულებს.

ბევრნი ამტკიცებენ, რომ გრეჩიხას მარცვალი საერთოდ ძალიან ნოყიერიაო; მაგრამ რადგან მასში აზოტიური ნივთიერება (პროტეინი) ცოტაა და გარს სრულიად უნოყიერო სქელი ჩენჩი არტყია, რომელიც თითქმის 29% შეადგენს, შეუძლებელია ეს რწმენა სწორე იყოს. ჩენჩო შემოცლილი და დაბურღულებული კი არამცთუ ადვილად მოსანელებელია კაცისათვის, გემრიელიც არის და უფრო ნოყიერიც. მრავალს მხარეს, სადაც ღარიბი და გოხა მიწები ხშირია, გრეჩიხის ბურღული (гречневая крупа), შეადგენს უმთავრესს საზრდოს მუშა ხალხისათვის, პურის გამოსაცხობლად კი არ ვარგა. დაროშილი გრეჩიხა კარგია საქონლის გასასუქებლად. თუმცა ცხენებს არ უყვართ და პირველ შეხვედრაზე თითქო ეზიზღებათო, მაგრამ, რა კი ერთხელ შეეჩვევიან, მასუკან კარგად სუქდებიან, მხოლოდ გრეჩიხით დასუქებულები დიდ ჯაფაში ხორცს ისევ ჩქარა ჰკარგვენ.

ემილი ვოლფის ქიმიური ანალიზის მიხედვით, 1000 გირვანქა გრეჩიხის:

1) მარცვალში მოიპოვება: 14, 4 აზოტი, 9, 2 ნაცარი, რომელშიაც არის 2, 1 კალი, 0, 6 ნატრი, 1, 2 მაგნეზია, 0, 3 კირი, 4, 4 ფოსფორმჟავე.

2) ჩალაში მოიპოვება: 13, 0 აზოტი, 51, 7 ნაცარი, რომელშიაც არის 24,1 კალი, 1, 1 ნატრი, 1, 9 მაგნეზია, 9, 5 კირი, 2, 7 ფორფორ-მჟავე.

აქედამ სჩანს, რომ მიწა, რომელმაც გრეჩიხის კარგი მოსავალი უნდა მოიყვანოს, განსაკუთრებით მდიდარი უნდა იყოს კალით, ნატრით და ფოსფორით. გამოცდილება და ქიმიური ანალიზები იმ მიწებისა, რომელთაც საუკეთესო გრეჩიხა მოჰყავთ სრულიად ეთანხმება ზემოდ ნათქვამს.

### ჰავა.

ამ მცენარის თვისებათა შორის ის არის მხოლოდ ცუდი, რომ მეტად სათუთი მცენარეა. ერთი და ორი გრადუსი სიცივე (რემიურის ტერმომეტრით) სძრავს გრეჩიხას. იგი დათესვის უმალვე ითხოვს თბილს, უნამო დღეებს და ლოჯდება თვით დიდი გვალვის დროსაც. რაკი მესამე ფოთოლი გაიკეთა, მაშინ წვიმა ეჭირვება და ყვავილობის დროს, რომელიც 14 დღემდე ვრცელდება, ითხოვს დრო გამოშვებით წვიმას და მზიან დღეებს. რაკი დაყვავილდება, კიდევ უნამო დღეები უნდა მარცვლის შემოსასვლელად. ერთი სიტყვით, არც ერთი კულტურული მცენარე ისე არ არის დამოკიდებული ჰაერზე, როგორც გრეჩიხა, რა მიზეზითაც საერთოდ მიწად-მომქმედნი კარგის თვალით არ უყურებენ. რვა დღის წინად თუ უკან დათესვას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავალზე. თუ კაცსა სურს, რომ რამდენიმე ნაწილი მოსავლისა მაინც დაიკვეთოს, საჭიროა თესლი რამდენიმე ნაწილად გაჰყოს და დრო გამოშვებით დასთესოს. შესაფერ მიწაში დათესილი გრეჩიხა კარგ მოსავალს იძლევა, თუ ჰაერმა ხელი

*) მთავრობასა სურს, რომ ეს მცენარე ჩვენში გავრცელდეს და საცდელად თესლის დარიგებას აპირობს. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ ამ წერილის შედგენა, რომ ჩვენის ხალხისათვის გრეჩიხის კულტურა გაგვეცნო. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ეკონომიური სამართლიანობის დასაცველად.

რა უნდა ყოფილიყოს მიზეზი ივრის-ხეობაში მიწის სათემო მფლობელობის ფორმის შეფერხებისა, ერთი და იმავე წერტილზე შეჩერებისა? რასაკვირველია ისა, რომ იგი ადრევე შეესწრო ისეთს გარემოებათა, რომელნიც სუსრავენ სათემო მფლობელობის დედა-აზრს. ივრის-ხეობაში გარედგან ისეთი პირობები შემოსულა, რომელნიც სრულიად ეწინააღმდეგებიან სათემო ფორმის მფლობელობისას, ძველადვე დაუჩემებიათ, ისიც უმეტესად მოსულ პირთა, სათემო მიწები და მით შეუტანიათ ხალხში სათემო მფლობელობის პრინციპი.

რასაკვირველია, ხალხის გონება და სიმტკიცე სძლევდა იმ პირობათა, მაგრამ დრომ მოიტანა ისეთი აზრები და პირობები, რომლებთან ბრძოლა ძნელი შეიქმნა. ყოველი მხრიდგან ხეობაში შედიოდა კერძო მფლობელობის აზრი და მიმართულება. ამის გამოც სათემო ფორმა მფლობელობისა წარმატებაში ვერ შევიდა, და დღეს ჩვენ ივრის-ხეობაში ვპოვებთ სრულიად დაუძლურებულს საეთმო მფლობელობას. იქ აღძრულა ლაპარაკი მიწის დაყოფისა და დასაკუთრების შესახებ; ზოგიერთა სოფლებში კი უკვე შეუცვლიათ სათემო მლობელობა კერძო, პირადს ფორმაზე და დაბეჯითებით უნდა ვიფიქროთ, რომ იქაც, სადაც კი დღემდის ივრის ხეობაში დაცულა სათემო მფლობელობა, ამ მფლობელობას იგივე ბოლო მოელის.

ნურავინ იფიქრებს, ვითომც სათემო მფლობელობა მიწისა არ შეეფერებოდეს ცხოვრების უფრო რთულ ფორმებს; ასეთი ცრუ-მორწმუნოება უკვე დაურღვევია მეცნიერებას, რომელმაც მარტო სათემო მფლობელობა მიწისა აღიარა უფრო სამართლიან ფორმად.

სათემო მფლობელობა ისეთი ფორმაა, რომელიც უფრო ეთანხმება ხალხის გრძნობასა და გონებას. იგი აკმაყოფილებს ხალხის ლტოლვილებას კონომიურის სიმართლისადმი და მისი ძალა მით უფრო შესანიშნავია, რომ მან შესძლო ბრძოლა თვით-არსებობისათვის, როცა ყოველთა პირობათა თითქო პირი შეუკრავთ მის წინააღმდეგ საბრძოლველად,

ამ აზრსაც ნათლად გვიმტკიცებს ივრის-ხეობის ფორმა მფლობელობისა; მას დღემდის დაუღწევია თავი, თუმცა მოწინააღმდეგე პირობათა რიცხვი აუარებელი იყო, თუმცა ხალხს უფლება აქვს კანონის ძალით შესცვალოს სათემო ფორმა კერძო მფლობელობითს ფორმაზე. **19** თებერვლის დებულების ძალით გლეხობას უფლება აქვს მოსპოს სათემო მფლობელობა შუამავალი მომრიგებლის თანხმობით, თუ კი ორი მესამედი გლეხობისა მას საჭიროდ დაინახავს.

კიდევ ორი სიტყვა: სამწუხაროდ, ავტორი არაფერს არ ამბობს თავის წერილში, თუ როგორ უყურებდა მთავრობა ივრის-ხეობაში მიწის მფლობელობას, რა და რა ზომებს ხმარობდა, ან თანაგრძნობით უცქეროდა ამ ფორმას მიწის-მფლობელობისა, თუ არა.

## შინაური ქრონიკა

— **ჩვენ** ნამდვილად შევიტყეთ, რომ ს. ზურჯაანში **12**-ს ამთვისას თ. არჩილ ანდრონიკაშვილს მოუკლავს ერთი მეფურგუნე ეს სამწუხარო ამბავი ამ გვარად მომხდარა: თ. ანდრონიკაშვილი ღვინო ნასვამი მიემგზავრებოდა თურმე ცხენით თავის ერთი ნათესავი და მოსამსახურითურთ; ზედ ფოსტის გზაზედ ერთს დუქანთან წინ გადაეღობა ფურგუნი; ანდრონიკაშვილმა წინ გაუსწრო თავის თანამოგზაურთ გზის გასაკვლელად ფურგუნის ცხენებს მათრახი გადაჰკრა. ამ ას პასუხად მეფურგუნემ ა—ლს ლანძღვა-გინება დაუწყო; ანდრონიკაშვილმა ეს ვერ დაუთმო და მეფურგუნეს მათრახით ცემა დაუწყო. მეფურგუნემაც ცემითვე უპასუხა, და მათ შორის ბრძოლა ატყდა. ამ დროს ანდრონიკაშვილს ხელიდგან მათრახი გაუვარდა, ცხენიდგან ჩამოხტა და, რადგანაც მეფურგუნემ ანდრონიკაშვილის ცემას თავი არ დაანება და სახეში ცემა დაუწყო, ანდრონიკაშვილმა, მოთმინებიდგან გამოსულმა, ხანჯალი იშიშვლა და დასცა იგი გვერდში მეფურგუნეს. ხანჯალს ერთი გვერდიდგან მეორემდე გაუტანია და მეფურგუნე იქავე უსულოდ დაცემულა. თანამოგზაურთ ვერ მიუსწრიათ მკვლელობის ადგილზე. მეორე დღეს თ. ა. ანდრონიკაშვილი თვითონ ჩაბარებია ხელში მთავრობას. ანდრონიკაშვილი ამ ჟამად სატუსაღოში იმყოფება. ნათესავები ცდილობენ ანდრონიკაშვილის თავდებობით სატუსაღოდგან გამოყვანას, მაგრამ ვერა გააწყვეს რა, თუმცა გამოძიება თითქმის დაბოლოვებულია.

---

შეუწყო. ამბობენ რომ ძალიანა სწყენს უწვიმო ელვა; ყვავილობის დროს თუ შეხვდა, მარცვალს აღარ იკეთებსო. ამას სხვა მცენარეებზედაც ამბობენ, მაგრამ მეცნიერებისაგან ეს ჯერ გამოკვლეული არ არის.

გრეჩიხის სამშობლო ქვეყანა არაბეთი არის; მეთხუთმეტე საუკუნეში ჯვაროსნებისაგან ევროპაში გადატანილია და აქედამ შემდეგ რუსეთშიაც. ჰაერი არაბეთში ძალიან ცხელი და ხმელია, რა მიზეზითაც ეს მცენარე საკვირველად იტანს გვალვას, მხოლოდ გაბმული ცხელი ქვენა-ქარი სწყენს, მეტადრე ყვავილობის დროს. თუ სინოჩეში ცივი და ნამიანი დღეები შეხვდა, ტანს აღარ იყრის, ჭკნდება და ფუჭდება. შეუძლიან ძალიან ხანგრძლივი უწვიმრობა აიტანოს, ღამეები თუ ნამიანი ექნება. აქედამ სჩანს, რომ მას მორწყვა სრულიად არ არგებს და კაცმა უნდა წყალს მიმართოს მხოლოდ უკიდურესს მდგომარეობაში ყვავილობის დროს. გრეჩიხა უფრო **ურწყავს** და **ცხელს** ადგილზე მოდის. ჩვენს ქვეყანას ამ გვარი ადგილები არ აკლია და თუ ეს მცენარე გავრცელდა, მათთვის დიდ საუნჯედ შეიქმნება.

## მიწა.

გრეჩიხა თუმცა ღარიბი და გოხა მიწით კმაყოფილდება, მაგრამ, როგორც ყოველივე მცენარე, ესეც ნაყოფიერ მიწაზე უკეთესს მოსავალს აძლევს და უფრო თამამად ებძვის ჰაერის მავნე მოვლინებასა. მაინც მიწა, რაზედაც გრეჩიხა უნდა დაითესოს, ძალიან მძიმე არ უნდა იყოს და არც ძალიან ნაყოფიერი, თორემ ბევრს შტოებს აჰყრის და მარცვალს ცოტას გაიკეთებს. გრეჩიხას იმისთანა მიწებზედაც კი სთესენ, სადაც, მიწის სიღარიბის გამო, ჭვავიც აღარ მოდის. თუ დარი დაუდგა, გრეჩიხა აქაც კარგი მოვა, მაგრამ უკანასკნელ ძალას კი ამოსწოვს. სჩანს, რომ მრავალი ფოთლების შემწეობით მას შეუძლიან ჰაერიდამ ბევრი ნოყიერი ნივთები შესწოვოს და მასთანვე მრავალი წვრილი ძირებით მიწაც იმოდენად გაალარიბოს, რომ იმის შემდეგ უსასუქოდ ჭვავიც აღარ მოვიდეს და პური (დიკა) ხომ სრულიად ვერ იტანს იმის მოწინავობას. გრეჩიხა ერთად-ერთი მცენარეა, რომელიც უსასუქოდ საუცხოვოდ მოდის ქვიშიან გოხა მიწაზე. უფრო უკეთ ეწყობა ქვიშიან ლამის მიწებს, სადაც უსასუქოდ ჩინებულ მოსავალს აძლევს მარცვლისასაც და ჩალისასაც. ევროპაში ხშირად ნახავთ ძალიან დაბალი ხარისხის მიწებზე $1\frac{1}{2}$ არშინზედ და მეტზედ მაღლა ასულს გრეჩიხას; რასაკვირველია, ეს შემუშავების ბრალიც არის.

გრეჩიხას არ უყვარს თიხიანი მიწები და უფრო სძულს ყოველგვარი კირიანი მიწები; პირველნი ძალიან მაგარნი არიან იმის ნაზი ძირებისათვის, და მეორეს ეს სრულიად არ ეწყობა. საზოგადოდ იმ მიწაში, სადაც გრეჩიხა უნდა დაითესოს, კირი ძალიან მცირე ზომით უნდა იყოს: თუ დავაყრით კირს სასუქად, გრეჩიხის საქმე ისე ცუდად წავა, რომ **10—14** დღეს ჩვეულებაზე ადრე შემოვა და ეს ავნებს მარცვლის დასრულებას. მძიმე მიწებზე კი, სადაც გრეჩიხა უზომოდ იზდება და დაუსრულებლად ყვავის და იჩალება, ეს შემჩნეული თვისება შეიძლება კაცმა სასარგებლოდ გამოიყენოს. რადგან გრეჩიხას უსუფთაოდ მოხნული, ბელტიანი მიწა არა სწყენს, ამისათვის მას ხშირად სთესენ პირველად გუთნით გატეხილ ყამირზედ, ანუ ახლად გაკეთებულ ახოში. რაც ამ მიწებში უფრო მეტი ქვიშაა, ისა სჯობს გრეჩიხისათვის. მოსავალი ახლად გატეხილს და გრეჩიხისათვის შესაფერ მიწაზე ხშირად გასაოცარია: დღიურზე მოდის **50** კოდი და მეტიც. გრეჩიხა აგრეთვე დაუფასებელი მცენარეა გამშრალი ნაჭაობარი ადილებისთვის, სადაც პირველ თესლად ითესება. ვისაც კარგი გრეჩიხის მოყვანა სურს, უნდა დასთესოს იმ მინდვრებზე, რომელნიც რამდენიმე წლის განმავლობაში საძოვრად ყოფილან. იმისი ღირსება მაშინ შეიტყობა.

ცოტა მცენარეა იმისთანა, რომელიც ისე საუცხოვოდ სწმენდდეს მიწას სხვა-და-სხვა გარეული, კულტურისათვის მავნე ბალახისაგან, როგორც გაკეთებული და სქლად მოსული გრეჩიხა; მაგრამ, თუ გრეჩიხა უკან ჩამორჩა, მაშინ ჭანგა (**пырей**) ნაცარ-ქათამა (**лебеда**) და სხვა მეტის-მეტად სჩაგვრენ მას, უფრო, თუ მიწა ულონოა. მსუბუქი, ქვიშიანი მიწა საქონლის სასუქით არას დროს არ უნდა გაპატივდეს, თორემ გრეჩიხა აიჩალება და ჩალის მეტს ვერას გამოიტანს კაცი. ლამის მიწის გაპატივება შეიძლება, ისიც მხოლოდ ძალიან ფთხილად და ნახევარ ზომაზე მეტი არ უნდა დაეყაროს, უფრო შესაფერი სასუქი ხის-ნაცარია და საცა ქიმიური სასუქები მიღებულია, — აგრეთვე ის სასუქები, რომელნიც მდიდარნი არიან **კალით და ფოსფოით**. გრეჩიხას ჩალაში იმდენი **კალი** მოიპოვება, რომ სამხრეთს რუსეთში ძალიან გახშირებულია გასასყიდი ნაცარ-ტუტის მარილის (**поташъ**) მომზადება იმისი ნაცრიდამ.

## მიწის შემუშავება.

რადგან გრეჩიხას რბილი მიწა უყვარს, ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ, იმისათვის დანიშნული მიწა შემოდგომაზედვე სუფთად და ღრმად მოვხნათ. ევროპაში მიღებულია სამჯერ, ოთხჯერ გუთნით მოხვნა და დაფოცხვა. რამდენიმე წლის ნაყამირალს აი როგორ ამზადებენ გრეჩიხასათვის: შემოდგომაზე გუთანს აღებინებენ, რაც შეიძლება, თხელ ბელტს; ახალ გაზაფხულზე ხვნენ მეორედ და სიღრმეს უმატებენ და ფარცხვენ, მანამ მიწა შეშრებოდეს; ამის შემდეგ, თუ მიწის თვისება ნებას აძლევს, ხვნენ გარდიგარდმო **4-5** ვერშ. სიღრმეზედ, ფარცხვენ და უკანასკნელად ხვნენ ისევ სიგრძეზე **3—4** ვერშოკზე სათესად. თესვას ახალ ნაპირულზე ამჯობინებენ. ეს ისე გაძნელებული სამუშაოა, რომ ჩვენი გუთნით და ფარცხით შეუძლებელია აღსრულდეს. ჩვენთვის უფრო გამოსადეგია შემდეგი შემუშავება: თუ ნაყამირალი არ არის, ერთი შემოდგომის ჩვეულებრივი სუფთა მოხვნა საკმარია, და, თუ მიწა ბევრი ხნის ყამირია, სჯობს პირველ შემოდგომაზე სამ ვერშოკზე მოიხნას; ადრე გაზაფხულზე, რაც შეიძლება, ღრმად მეორედ მოიხნას და დაიფარცხოს, და თესლი კავებით, ანუ ფოჩხებით დაიმალოს. ვისაცა სურს ეს მუაობაც შეამოკლოს და მარტო შემადგომაზე ერთხელ მოხნას, უთუოდ საჭიროა გაზაფხულზე თესვის წინად კავებით ან ფოჩხით აოშოს და თავის დროზე შემდეგ ისე დასთესოს და დაფარცხოს. თესლის საფარავად $2—2\frac{1}{2}$ ვერშოკი სიღრმე საკმაოა. უპირველესი პირობა კარგი მოსავლისათვის არის, რომ თესლის გატანას შესაფერი დრო შეერჩიოს; მანამ სიცივეები სრულიად არ მოისპობა და უნამო დღეები არ დადგება, ძნელია იმისი დათესვა. ჩვენი ქვეყნისათვის შეიძლება მივიღოთ ბარში **15** აპრილიდგან **1** მაისამდის და მთის კალთებში **15** მაის.—**1** თიბათვემდის; რასაკვირველია, ამითი არ ეძლება თესვის დროს სამზღვარი და ყოველივე მხნელ-მთესველი ვალდებულია თავისი მხრის გარემოება თვალ-წინ იქონიოს და საქმე ისე წამართოს. მეურნეობაში რეცეპტებით საქმე არა კეთდება!

## მოვლა.

ბევრგან შემოღებულია გრეჩიხის გამარგვლა და გათოხნა. სადაც თოხით სთოხნიან, იქ თესვის მეთოდაც სხვა არის. თესლის გაშლით, მოპნევის მაგივრად, იქ ორმო-ორომ რიგ-რიგად სთესენ და შემუშავებაც მიემგზავსება სიმინდის შემუშავებას: გრეჩიხას თოხით მიწას ისე გარშემო

ამბობენ, ამ საქმეს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რადგანაც თ. ა. ანდრონიკაშვილი ეკუთვნის კარგს ოჯახს და ცნობილია, როგორც კარგი დარბაისელი ყმაწვილი კაცი. ანდრონიკაშვილი ოცი წლისაა.

≈ ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. ა—ის მაგივრად, რომელიც სხვაგან გადაჰყავთ, სამსჯავრო პალატის უფროს თავმჯდომარედ ინიშნება ბ. პ—ი.

≈ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიურ კრებაზედ ხმის უმეტესობით მიიღეს რჩევისაგან წარდგენილი წინადადება შესახებ საწევრო ფულის მომატებისა. ამას იქით ყოველ წევრს ექნება ხუთჯერ მეტი კრედიტი შეტანილ საწევრო ფულზედ და არა ათჯერ მეტი, როგორც აქამდის იყო. ამავე კრებაზედ უკენჭოდ ამოირჩიეს დირექტორად ისევ ბ. იოანისიანი.

≈ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს «კრუჟოკის» ზალაში დანიშნულია მეორე და უკანასკნელი ლექცია ბ. ნ. ზულაკისა «ვეფხვის-ტყაოსანზედ». დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ს. შრიათუბნიდამ (კახეთი) გვწერენ, რომ ამ სოფელში საშინლად იყო თურმე გავრცელებული ქურდობა, მაგრამ მის მოსასპობად ადგილობრივი ზამასახლისის თაოსნობით შემდეგი საშუალობა იხმარეს თურმე: შეიკრიბა მთელი სოფელი, შენიშნულ პირთ ჩამოართვა ხელ-წერილი, რომ ბოროტ-მოქმედებას აღარას ჩაიდენენ. სოფელი დაემუქარა, თუ კვლავ კიდევ არ დაიშლით თქვენს ხელობას, მაშინ სოფლის განჩინებით ციმბირში გადაგასახლებთო. როგორც კორესპონდენტი გვწერს, ჯერჯერობით ამ ხელ-წერილს გაუჭრია და ქურდობა შემცირებულია.

---

## კიდევ «ახალს მიმოხილვას»

(«Новое Обозрѣніе» № 74)

ამას წინედ «ახალის მიმოხილვის» ერთს თანამშრომელს საკადრისი პასუხი გავეცით შესახებ იმ ცილის-წამებისა, რომლითაც იგი ქართული თეატრის რეკლამების წერასა გვწამებდა. ჩვენ გვეგონა, რომ სამართლიანი სიტყვა კრიტიკას შეუკრავდა ცილის-მწამებელს და უზრდელს საქციელს გარდაახვევდა, მაგრამ ჩვენი იმედი ტყუილი გამოდგა: ქართული სახალხო ლექსისა არ იყოს, «ვერ გათეთრდება ყორანი, რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა», სწორედ ამ ლექსის აზრის სიმართლეს ამტკიცებს შენიშვნა «ახალი მიმოხილვის» მე-74 №-ში. ის საქციელი, რომელიც ამ გაზეთით უხმარია «ახალი მიმოხილვის» თანამშრომელს ჩვენს წინააღმდეგ, გვაგონებს თავისი ხასიათით ბ. ზოილის საქციელს. «ზოილმა» შეგვწამა რეკლამების წერა, უკანასკნელმა კი დიფირამბების იმ პირისათვის, რომელსაც განუმრახავს სურათებიანი და შესწორებული «ვეფხვის ტყაოსნის» გამოცემა. თუმცა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ამ გაზეთის ზოგიერთა თანამშრომლების რიგიანს კვალში ჩაყენება სამართლიანი სიტყვით შეუძლებელი საქმეა, ჩვენ მაინცა და მაინც იძულებული ვართ პასუხი გავსცეთ «ახალს მიმოხილვას» და თავიდამ ავიცილოთ ის ცილის-წამება, რომელიც მისმა თანამშრომელმა შეგვწამა.

ეს უკანასკნელი თამამად ბძანებს: «იმ დროს, როდესაც არაგვისა და ქსნის ხეობების დიდ-ძალს მცხოვრებლებს არა აქვთ არც ერთი სკოლა, როდესაც ამ ხეობებს ჰყავთ მხოლოდ ორი, სამიოდე განათლებულნი წარმომადგენელნი, როდესაც ხალხი ჩაფლულია უმეცრებაში, ერთად-ერთი ორგანო ქართველობის აზრისა, გაზ. «დროება», უძღვნის აღტაცებულს დიფირამბებს ერთს მეცენატს, რომელსაც გარდაუდვია 10,000 მან. ძვირფასი «ვეფხვის ტყაოსნის» გამოსაცემლად მხატვარი ზიჩის სურათებით ძვირფასი ინგლისური ყდითა, შემიძლიან დავარწმუნო სიმონსონოვის ქუჩის პუბლიცისტები, რომ ვეფხვის ტყაოსანს არა მოუმატებს რა, თუ გინდ რომ იგი ოქროს ყდით გამოსცენ..... ნუ აძლევთ ქვასა, როცა ხალხი პურს ითხოვს». ამ სიტყვების თქმა შეუძლიან მხოლოდ ისეთს ადამიანს, რომელიც არაფრად არ აფასებს არც სხვის აზრსა და არც საკუთარს სიტყვასა. რაც შეეხება ხსენებულ ხეობების უსკოლობას, ჩვენს გაზეთში ამ საგანზედ არა ერთხელ იყო ლაპარაკი (აიღეთ თუნდა 47 № «დროებისა» ამ წლისა.)

ჩვენთვის დიფირამბების წერა შეწამება იმოდენადვე ტყუილი, უპატიოსნო და უზრდელი საქციელია, რაოდენადაც ტყუილი, უპატიოსნო და უზრდელი იყო ისა, ვითომც ჩვენ რეკლამებს ვუწერდით ქართულს თეატრს. ჩვენ არასოდეს არავითარი ქება და დიფირამბი არ გვიძღვნია ვეფხვის ტყაოსნის გამომცემლისათვის. «დროების» მე-51 №-ში მოხ-

---

უყრიან, როგორც სიმინდს. პფალცში (გერმანიაში) ეს ხრიოკსა და გოხა ადგილებზედ არის შემოღებული და კარგ მოსავალს თურმე იძლევა. სადაც მუშა იაფია, ან სხვა ღონის-ძიება აქვთ იაფად დაისვან ამგვარი შემუშავება, რასაკვირველია, კარგია; მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ეს ამოდენა ხარჯი უქმად ჩაივლის, მაშინ როდესაც უიმისოდაც კარგი მოვა, თუ ჰაერმა ნება მისცა. ხშირად ჩვენი ხალხი იმასაც ხეირიანად ვერა სთოხნის, რაც გაუთოხნავად არ მოდის. უნდა დავუმატო, რომ სადაც ეს შემუშავების მეთოდაა მიღებული, იქ გრეჩიხა უმთავრესს ჭირნახულად ითვლება.

### მოსავლის შეგროვება და შენახვა.

შეშავდა თუ არა უმეტესი წილი მარცვლისა, საჭიროა გადაუდებლივ გრეჩიხის მოჭრას შეუდგეს კაცი, თორემ მარცვალმა ჩქარა იცის ჩაპნევა. კარგად გაკეთებული გრეჩიხის ჩალა ხშირად ჯერ კიდევ მწვანეა ხოლმე და წვერები ყვავილით სავსე, მაგრამ ამას ყური არ უნდა ვათხოვოთ და სჯობს მოჭრას დავეჩქაროთ. მოთიბის შემდეგ, რამდენიმე დღე ისე ღვარეულად მოფენილი უნდა დარჩეს. ამ დროს წვიმა და მზე რიგრიგად სანატრელია, რადგან შემოუსვლელი მარცვლები დასრულდებიან. რამდენიმე დღის შემდეგ, უნდა პატარ-პატარა ძნებად შეიკრას და მწკრივად პირალმა ფეხზე დადგეს და კარგა შემოსვლამდის ასე უნდა დარჩეს. ბელგიაში ძნებს თავებს უხრიან, რომ მარცვალი არ გასცვივდეს. სხვაგან ამის მაგიერ კიდევ სხვა მეთოდაა მიღებული: ახალ მოთიბულ გრეჩიხას სდგმენ პატარ-პატარა მრგვალ ბულულებად, ისე კი რომ ბულულის შუაგული ცარიელი უნდა იყოს და თავი წვეტად მოდგმული და წვერებზე გადაკრული, რომ ქარმა არ დაშალოს. ეს პატარა კარვის მსგავსი ბულულები, რომლებშიაც ავდარი ადვილად არ ჩავა, ორი სამი კვირა ასე უნდა დარჩეს, რომ ჩალა და მარცვალი შემოვიდეს. რაღა თქმა უნდა, რომ ეს მეთოდა სჯობს ყველა სხვა მეთოდებს, მაგრამ ამის ასასრულებლად ხერხიანი მუშებია საჭირო. სადაც მუშაობაში ბევრს ჯაფას ერიდებიან, იქ დაუდევრობით ნახევარ მოსავალს ჰკარგვენ, იქ მოთიბის შემდეგ გრეჩიხას ისე ეპყრობიან, როგორც ბალახს, თივის დადგმის დროს, სიჩქარით მზეზე ახმობენ და შეუკრავს ურემზე დაჰყრიან და შინ მიაქვთ სალეწად. რასაკვირველია, ბევრი მარცვალი დაიპნევა და წლის ამაგი განახევრდება.

ყოველთვის სჯობს, მიზიდვის უმალვე ლეწვას შეუდგეს კაცი, რადგან ჩალა ძალიან ძნელად ხმება და ძნაში მარცვალი სინოტივისაგან ჩახურდება და აშმორდება. თუ კაცი სრული ჩალის გახმობას მოუცდის, მარცვალი ბევრი დაიკარგება, ან, ისიც მოსალოდნელია, რომ წვიმიანი დღეები დადგეს და მარცვალი აღოჯდეს. ჩალა ან ბარდო გალეწვის შემდეგ უნდა გაიშალოს, კარგად გაშრეს და შესანახად ფარდულში დაიდვას. მარცვალი ბეღელში უნდა თხლად გაიშალოს და ნიჩბით აირიოს ხოლმე, ვიდრე კარგად შეშრებოდეს. მარცვლის ხაროში შენახვა ძნელი გასაბედია, შეიძლება ადვილად ანოტივდეს და აშმორდეს, თუ მეტადრე ხარო ქვითკირისა არ არის. გალეწვა კევრებითაც შეიძლება, მხოლოდ კალო დამჯდარი უნდა იყოს და თვით გრეჩიხაც გამხმარი. ხშირი ქცევა ბევრს შემწეობას მისცემს, რადგან მარცვალი ჩქარა დასცვივა. ჩალის ბზედ გადაქცევა საჭირო არ არის; როცა დაეტყობა, რომ მარცვალი სრულიად დასცვივდა, ბარდოვ უნდა აიჩენჩხოს და დანარჩენი ისე განიავდეს და გაკეთდეს, როგორც სხვა ჭირნახული. რუსეთში გრეჩიხას ხის-საცეხველებით (ЦѢПИ) სცეხვენ. ხის საცეხველი შესდგება ერთი სამ არშინიანი ბარის ტარის სიმსხო კეტისაგან, რომლის ერთი თავი გახვრეტილია; ამაზე გადაბმულია ხამი ტყავით მეორე ოც ვერშოკიანი იმავე სიმსხო კეტი.

მიწა, ჰაერი და შემუშავება თუ შესაფერი შეხვდა, გრეჩიხა კარგ მოსავალს აძლევს, მისი მარცვალი ფასობს რუსეთში 1 მანეთ 10 კაპ.—1 მან. 30 კაპ. ფუთი, საშუალო მოსავლად მიღებულია 48—96 ფუთამდის დესიატინაზე, ჩალა 80—160 ფუთამდის.

### ჩალის ღირსება, როგორც საკვებისა.

ბოლოს საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა გრეჩიხის ჩალის თვისებაზე. ამის შესახებ ბევრი სხვა-და-სხვა აზრი ტრიალებს: ზოგიერთებს ეს, კარგი საქონლის საკვებავი ჰგონიათ; ზოგნი სრულიად აფულებენ, სთვლიან უვარგისად და საქონლისათვის მაწყინარ საკვებად. გამოცდილებამ გამოაჩინა, რომ ორივე მხარე მართალია: გრეჩიხა ჩინებული საქონლის საჭმელიც არის და თან ფთხილად ხმარებაც უნდა, რადგან ხშირად მაწყინარი საკვებავია. ჩემის აზრით, გრეჩიხის ჩალა უკეთუ კარგად არის შენახული, კარგი საჭმელია, მეტადრე რქიანი საქონლისათვის და არც მაწყინარია; მე მქონია შემთხვევა ამის გამოცდისათვის. რაც შეეხება მწვანე გრეჩიხის თვისებას, მართალია, კარი გავლენა აქვს საერთოდ საქონლის სხეულზე, მაგრამ უცნაურად მოქმედობს მზის სხივების გავლენის ქვეშ თეთრი ფერის ღორზე და თეთრს ცხვარზე; მწვანე გრეჩიხა—ნაჯამი თეთრი ღორი ან ცხვარი მზეზე თუ გამოვიდენ ან თუ მზიან დღეში გრეჩიხასა სძოვენ, უცებ თავ-პირი უსივდებათ, იწყობენ მთელი სხეულით კანკალს, თავის ცანცარს თითქოს ეშინიანთო; სდგანან მოწყენილნი, ან ბორგავენ და უცნაურად ხტიან; ან უგონოდ ჰხდებიან და სდგანან ერთ ადგილას, და, თუ დადიან, ფეხი ეშლებათ და ხან-დის-ხან ჩქარი სუნთქვა ეტყობათ. ხშირად პირუტყვს სხვა არა ეტყობა-რა თავ-პირის და ყურების დასიების მეტი, რომელიც დაცხრობის შემდეგ უსკდებათ და წყლული გადმოსდით, ურაც კანის ანთება თავს იჩენს, უფრო საშიშია და სიკვდილიც იშვიათი არ არის. საოცარი ეს არის, რომ გრეჩიხა ასე მოქმედობს მხოლოდ თეთრი ფერის პირუტყვებზე და მზეზე; შავი ფერის პირუტყვებზე და ჩრდილში სრულიად გავლენა არ აქვს. ასე გასინჯეთ, თეთრ ცხვარს მტვრით და ავდრით გაჭუჭყიანებულს შეუძლიან თავისუფლად სძოვოს მწვანე გრეჩიხა თვით პოლიარულის მზის სხივებზე,—არა უშავს-რა; თუ გაბანთ გაასუფთავებთ, ნაწყენობა, უეჭველია, თავს იჩენს. ავადმყოფი პირუტყვები საჩქაროდ ჩრდილში უნდა შეირეკოს და ავადმყოფობა ჩქარა გადაივლის. ამ უცნაური ავადმყოფობის მიზეზი ჯერ გამოუკვლეველია; ზოგი აბრალებს აგრეთვე გრეჩიხაში ამოსულს მწარე ბალახებს; ზოგი თითონ გრეჩიხაშივე პოულობს შხამის მსგავს ნივთიერებას, რომელიც ამ ნაწყენობას გამოიწვევს; ზოგიც მიზეზად სთვლის პარაზიტულ ორგანიზმებს უმარტივესის აგებულებისას, რომელიც იქნება გრეჩიხაზე სცხოვრებდენ, მაგრამ ეს ორგანიზმები თვალით კი ჯერ არავის უნახავს. ვნახოთ, თავის დროზე მეცნიერება რას იტყვის ამ საგანზედ. ჩვენ კი მხოლოდ საჭიროდ დავინახეთ გრეჩიხის მომყვანი გაგვეფთხილებინა, რომ თავინთ საქონელს ეს მცენარე წინ-დახედვით აჭამონ ხოლმე.

იმ მრავალ გვარი ავად-მყოფობისაგან და ყველა ნაირი მტრებისაგან, რომელნიც თითქმის ყოველ ჩვენ კულტურულ მცენარეთ თან დასდევენ და არაერთხელ მიწის მომქმედს შეაფიქრიანებენ ხოლმე, გრეჩიხა სრულიად თავისუფალია; რამოდენიმე სხვა და სხვა ბალახი თუ შეაწუხებს ხან-დი-ხან, თორემ სხვა მტერი გრეჩიხას არა ჰყავს-რა.

თვ. სვიმონ ვეზიროვი, წევრი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

სენებული იყო მხოლოდ, როგორც ახალი ამბავი შინაურ ქრონიკაში, რომ ეს და ეს კაცი აპირობს ამ და ამ გვარად «ვეფხვის ტყაოსნის» გამოცემასაო. ამ შენიშვნაში არც ერთი სიტყვა არ შეიცავდა გამომცემლის ქებას. შემდეგ ამ შენიშვნისა ჩვენ ვუძღვენით მოწინავე წერილი («დროება» № 53) ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობას. არც ამ წერილში მოგვიხსენებია არც ერთი სიტყვით ვეფხვის-ტყაოსნის» გამომცემელი; წერილში მხოლოდ პრინციპიალურად განვმარტეთ ძველი მწერლობის მნიშვნელობა. სასიამოვნო მოვლენად ჩავთვალეთ «ვეფხვის-ტყაოსნის» გამოცემა, რადგანაც უნდა იგი შესწორებული დაიბეჭდოს, სხვა-და-სხვა ვარიანტების შეთანხმების შემდეგ. შესწორებული პოემის დაბეჭდვა ყველას უნდა მიაჩნდეს განმად მწერლობისათვის. ის გარემოება კი, რომ იბეჭდება შესწორებული «ვეფხვის ტყაოსანი» «ახალი მიმოხილვის» თანამშრომელს დაუმალავს მკითხველებისათვის და მათი ყურადღება მიუქცევია მხოლოდ მეორეხარისხოვან ნაწილისა და სურათებისათვის.

ჩვენ ამ საუბრით ზრდილობა-ახდილს «თანამშრომელს კი არ მივმართავთ, რადგანაც უკადრის საქმედ მიგვაჩნია მასთან საუბარი, არამედ თითონ «ახალი მიმოხილვის» რედაქციას, რომელსაც უნდა მოვაგონოთ, რომ სხვის აზრების შესახებ მეტი სიფთხილე და წინ-დახედულობა უნდა იხმაროს: და თუ რედაქციას მაინც და მაინც ვერ მოუხერხებია, რომ მოუსპოს თავის თანამშრომელს საშუალება ცილის-წამებისა, ჩვენა გვკითხოს და ჩვენ ვასწავლით.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

17 მარტს.

**ცინცინატი.** (ამერიკ. შერთებ), სასამართლომ ერთს კაცის-მკვლელს მეტად მცირე სასჯელი დაუნიშნა და ამ ამბავმა დიდი არეულობა გამოიწვია: აღელვებული ხალხი ეცადა ციხეში შევარდნილიყო, მაგრამ ჯარმა უკუ-დააწევინა და რამდენიმე კაციც მოჰკლა. მაშინ ხალხმა დაიპყრა არსენალი, მოიგდო ხელში იარაღი და ციხეს კიდევ ემუქარება.

**რომი.** ახალი კაბინეტი შესდგა; განათლების მინისტრად დანიშნულია კოპინო, სამხედრო მინისტრად ბერტოლე-ვიალი, მერნეობისა—გრიმალდი, იუსტიციისა—ფერი-ჩინი. სხვა მინისტრები თავთავიანთ ალაგებზე დარჩნენ.

18 მარტს.

**პეტერბურგი.** კავკასიის სამხედრო ოლქის ადგილობრივი ჯარების უფროსის თანშეწედ დანიშნულია გენერალი-მაიორი გრესერი.

გამოცხადდა ის წესი, რა წესითაც მამულის პატრონებს უნდა მიეცეთ სესხი სახემწიფო ბანკის კანტორების განყოფილებათაგან სოლოთამასუქებზედ. თანახმად ამ წესისა, პატარა-ვადიანი სესხი ჯერ მარტო სახემწიფო ბანკის კანტორაში გაიცემა და აგრეთვე შემდეგს განყოფილებებში: ორიოლში, პოლტავაში, უფაში, ტულაში, სარატოვში, სიმბირსკში, კიშინიოვში და ყაზანში. სხვა განყოფილებებზედ განცხადება ცალკე იქნება. გამოცხადდება აგრეთვე წესი სახელმწიფო ბანკში, მის კანტორებში და განყოფილებებში სამუდამო მიმართულობის მიღებისა; ჯერ-ჯერობით ამ გვარი მიმართულობა $4^{0}/_{0}$ მიცემით მიიღება მხოლოდ თითონ ბანკში, თუ როდის დაიწყება ამ გვარი ოპერაციები კანტორებში და განყოფილებებში,—ამაზედ ცალკე იქნება განცხადება ადგილობრივს გაზეთებში.

კახანოვის კომისიის პროტოკოლებს ამ დღეებში მოაწერენ ხელს. კომისიის სხდომები, ამბობენ აპრილში გაიხსნება.,

**ქრისტიანია.** სახელმწიფო სამსჯავრომ გადუწყვიტა ზღვათა მინისტრს იოგანსენს 8000 კრონი ჯარიმა და 200 კრონი სამსჯავროს ხარჯის გადახდევინება.

**რომი.** ისკიის კუნძულზედ ცოტაოდენი მიწის-ძვრა იყო, მაგრამ ზიანი არაფერი არა მოუხდენია-რა.

**ბერლინი.** წუხელის თავადი ორლოვი პარიჟში წავიდა.

**სიღნაღი.** თავად - აზნაურობის კრება კიდევ ვერ შესდგა; ერთი დასი თხოულობდა კატეგორიების შეცვლას, ხოლო მეორე არ ეთანხმებოდა პირველს და ამტკიცებდა, რომ კომისიამ მარტო ათი დღე მოანდომა ამ საქმეს და ეს საკმაო არ არისო.

19 მარტს.

**მოსკოვი.** გუშინ ოლქის სასამართლოში გათავდა საქმე შესახებ ყალბი ხელის-მოწერისა ოთხს თამასუქზედ 20,000 მანათისა მოსკოველ ვაჭრის ფილიბერგის მაგივრად. უწინდელი არტისტები მოსკოვის თეატრებისა: გოლადკოვიკა და გორევი და აგრეთვე სხვა ბრალდებულნი გაამართლეს. გოლადკოვისას გული შეეწუხდა და სამსჯავროს ზალიდამ ხელით გამოიტანეს; გორევს კი თავი მშვიდად ეჭირა.

**კონსტანტინოპოლე.** პორტასა და მსოფლიო პატრიარქს შორის თანხმობა შემდეგს საფუძველზედ დამყარდა: ის სასულიერო პირნი, რომელთაც რაიმე ჩვეულებრივი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს, გაისჯებიან ოსმალურ სამსჯავროების მიერ; მაგრამ ვიდრე მათ შესახებ განაჩენი აღსრულებაში მოვიდოდეს, სასულიერო ღირსების ნიშნები ჩამოერთმევათ სასულიერო მთავრობის განკარგულებით. აგრეთვე შეამცირეს პატრიარქის უფლება შესახებ ბერძნების სკოლებისა და ზოგიერთა სხვა წვრილმანი საგნებისა.

**ცინცინატი.** წუხელის კიდევ არეულობა მოხდა. ხალხი შემოერტყა ციხეს. ცეცხლი წაუკიდა, როგორც იმას, ისე ზოგიერთა სხვა მახლობელ შენობას და უშლიდა ცეცხლის-მქრობელ კამანდას ცეცხლის გაქრობას. ამ დროს ჯარი მოვიდა და ჯარსა და ხალხს შორის თოფის სროლა ასტყდა. 50-მდე არეულობაში მონაწილე მოიკლა; ხალხმა ჯარს ზარბაზანი წაართვა, მაგრამ მასუკან ეს იარაღი პოლიციამ უკანვე დაიბრუნა. მშვიდობიანობა ჩამოვარდა.


## განცხადებანი

ვსთხოვთ დრამატიული საზოგადოების წევრებს მობძანდენ საზოგადო წლიური კრებაზედ ანგარიშის მოსასმენათ ახალი წევრების ამოსარჩევათ და სხვა დასხვა საქმეების განსახილველად 22-ს მარტსა საღამოს შვიდ საათზედ (7) წერა-კითხვის საზოგადოების ზალაში სვიმონსონოვის ქუჩაზე ნაზაროვის სახლში.

თავმჯდომრის ამხანაგი.

(3—2) აკაკი წერეთელი.

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ — ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახელობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классическою Гимназіею, подъ редакціею газ. «Дроэба»). (10—5)

აბრეშუმის ჭიის თესლი, (№ 90),

კარგი ყვითელი პარკს ჯიშისა - პასტიორის სისტემაზედ მომზადებული და საფრანგეთის პირველი ფირმებისაგან მიღებული. მისხალი იყიდება ერთ მანათად, იქვეა ნუხის თესლი, მისხალი ათ შაურად.

ადრესი: ბ. ღურისიეს, ფრეილინის ქუჩა № 8, არტაზოვის სახლი, ანუ ლუის მაღაზია. (5—4)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, ჯინაგირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნაჩხები, კატერპრუფები, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—83)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ჯინაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—99)


Дозв. ценз. Тифлисъ, 19 Марта 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.